ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3253332

ნომერი: AR1498236

თარიღი : 25.04.2017

გაცემის თარიღი : 18.05.2017

გაცნობის თარიღი : 19.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნინოშვილი , N 69 , (ნაკვეთი N3/22) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ აბზიანიძე პ/ნ 01024001371
- თბილისი მარშალ გელოვანის გამზ.13. N72

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05.01.2017 წლის №3015053 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 25.04.2017 წლის №AR1498236 განაცხადით მომართეს ზურაბ აბზიანიძემ და არჩილ მიქანაძემ და მოითხოვეს ამავე

სამსახურის 05.01.2017 წლის №3015053 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 05.01.2017 წლის №3015053 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ნინოშვილის ქ. N69-ში (ნაკვეთი N3/22) სს "შოდა"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობის რეკონსტრუქციის (საოფისე ბლოკი "ა") არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 6 იანვრიდან 2018 წლის 9 იანვრის ჩათვლით. აქტში დამკვეთად დაფიქსირდა: სს „შოდა“ (202886145).

წარმოდგენილი განაცხადით, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ცვლილების გამო, მოთხოვნილია სამსახურის 05.01.2017 წლის №3015053 ბრძანებაში დამკვეთის ინფორმაციის ცვლილება და დამკვეთად, ახალი მესაკუთრის - შ.პ.ს „ბილდია“-ს (404535035) დაფიქსირება.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაცია – №882017292176; მომზ. თარიღი: 19/04/2017 13:14:25) მიხედვით, ქ. თბილისში, ნინოშვილის ქ. N69-ში (ნაკვეთი N3/22) მდებარე (საკ. კოდი №01.16.01.003.022) მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა შ.პ.ს „ბილდია“ (საიდენტიფიკაციო კოდი: №404535035). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხ. რეგისტრაცია: B17035883, მომზადების თარიღი: 05/04/2017 13:38:04) შ.პ.ს „ბილდია“-ს დირექტორია არჩილ მიქანაძე, რომელიც დარეგისტრირებულია თანაგანმცხადებლად.
საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ვინაიდან, დღეისათვის, მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შ.პ.ს „ბილდია“-ს საკუთრებას, რომლის წარმომადგენელიც სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შ.პ.ს „ბილდია“-ს დაფიქსირებას.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57–ე დადგენილების თანახმად,
ვბრძანებ:
1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05.01.2017 წლის №3015053 ბრძანებაში და დამკვეთად სს „შოდა“-ს ნაცვლად დაფიქსირდეს შ.პ.ს „ბილდია“ (ს/კ კოდი: №404535035). სამსახურის 05.01.2017 წლის №3015053 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 05.01.2017 წლის №3015053 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.